პროგრამაში მუშაობენ

გიორგი ხუციშვილი – პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დამაარსებელი და დირექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი.

გაგა ნიშარაძე – ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქოლოგიური მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი.

დალი ბერეკაშვილი – ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქოლოგიური მონიტორინგის ჯგუფის წევრი.

რუსუდან მშვიდობაძე – ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქოლოგიური მონიტორინგის ჯგუფის წევრიძ.

თინა ასათიანი – სოციალური ფსიქოლოგი, ფასილიტატორი, ფასილიტატორთა ჯგუფის ხელმძ ღვანელი.

მაია რაზმაძე – სოციალური ფსიქოლოგი, ფასილიტატორი.

ლია (ხათუნა) სანიკიძე – სოციალური ფსიქოლოგი, ფასილიტატორი.

მანანა დარჯანია – სარედაქციო ჯგუფის ხელმძღვანელი, ჟურნალისტი.

არჩილ ხიდეშელი – კომპიუტერული უზრუნველყოფა.

ICCN

პროგრამის მისამართია:

ივ. მაჩაბლის ქ. №5, 1-ლი სართ.
თბილისი 380007, საქართველო

ტელეფონი: (995 32) 999987

ფაქსი: (995 32) 939178

ელ.ფოსტა: **confpro@access.sanet.ge**

© 2000 by ICCN

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

კონფლიქტების მოგვარების სწავლების პროგრამა საქართველოში

ICCN

კონფლიქტების მოგვარების სწავლების პროგრამა საქართველოში

დაიწყო 1996 წლის დეკემბერში და მიმდინარეობდა ერთი წლის განმავლობაში. 1998 წლის სექტემბრიდან პროგრამის მუშაობა განახლდა.

პროგრამა ითვალისწინებს ტრენინგ-სემინარების სერიას,რომელთა მსვლელობაში მონაწილენი იძენენ, როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე კონკრეტულ უნარ-ჩვევებს. ამგვარი მომზადება ეხმარება მათ კონფლიქტური და პრობლემური სიტუაციების დაძლევაში.

ტრენინგ-სემინარები გათვალისწინებულია მათთვის, ვისაც უშუალოდ აქვს შეხება საქართველოში ბოლო წლებში მიმდინარე კონფლიქტებთან.

1996-1997 წლებში პროგრამის ფარგლებში ქვეყნდებოდა ყოველთვიური ბიულეტენი "ალტერნატივა".
1998 წლიდან ბიულეტენის გამოცემა განახლდა.

მადლობას ვუხდით ნორვეგიის მთავრობასა და ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს ფინანსური მხარდაჭერისათვის.

ყველა ადამიანს აქვს კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის ცხოვრებისეული გამოცდილება. ამასთანავე, არსებობს მეცნიერება კონფლიქტების წარმოშობისა და მოგვარების გზების შესახებ. კონფლიქტოლოგიას კონფლიქტების ზოგად კანონზომიერებებთან ერთად დადგენილი აქვს მათი დაძლევის ხერხებისა და მეთოდების მთელი სისტემა.

ყოველივე ამის შესასწავლად,

კონფლიქტების მოგვარების სწავლების პროგრამა

გთავაზობთ ტრენინგებს შემდეგ საკითხებზე:

- კონფლიქტის რაობა და განვითარების ეტაპები;
- კონფლიქტის გადაწყვეტის გზები;
- ეფექტური კომუნიკაცია;
- პრობლემის ერთობლივი გადაწყვეტა;
- ჯგუფური მუშაობის წარმართვა (ფასილიტაცია);
- შემოქმედებითი აზროვნება;
- მოლაპარაკებების წარმოება;
- თანამშრომლობის დაგეგმვა.

ტრენინგის შედეგად თქვენ დარწმუნდებით იმაში, რომ

არ არსებობს გამოუვალი სიტუაცია და მოუგვარებადი კონფლიქტი

გარდა ამისა:

- დაინახავთ კონფლიქტის დადებით და უარყოფით მხარეებს;
- შესძლებთ კონფლიქტური სიტუაციის დაძლევას;
- შეიძენთ ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს;
- შესძლებთ მოწინააღმდეგეში პარტნიორის დანახვას;
- დაეუფლებით აქტიური მოსმენის ხერხს;
- ისწავლით საკუთარი ემოციების მართვას;
- დაეუფლებით კონფლიქტური სიტუაციის შესატყვისი სტრატეგიის შერჩევას;
- შესძლებთ მოლაპარაკების ეფექტიან წარმართვას;
- ისწავლით,თუ როგორ მიაღწიოთ ურთიერთმისაღებ შეთანხმებას.